ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 296

ქალაქი ქუთაისი 26 ივნისი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.გ.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 18 ივნისის №44-4424170454 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412767830) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ, 5 (ხუთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალების უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ, თხოვების ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემული მოძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს სამსახურებრივი ფუნქციის განხორციელებისათვის.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა, უზრუნველყოს მოძრავი ქონების თხოვების ფორმით გადაცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმება.

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
შემ. № 137
27 06 2024 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულო

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 26 ივნისის
№296 განკარგულების დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მახასიათებლები

№	ავტომანქანის მარკა	ავტომანქანის ტიპი	ავტომანქანის მოდელი	ავტომანქანის ფერი	საიდენთიფიკაციო ნომერი „WIN“	რეგისტრაციის ნომერი	გამოშვების წელი	რეგისტრაციის თარიღი
1.	„OPEL“	სედანი/„Sedan“	„VECTRA“	ლურჯი	„W0L0JBF1911029664“	„PP114MM“	2000	06/03/2021
2.	„RENAULT“	ჰეტჩბეკი/„Hatchback“	„SANDERO“	თეთრი	„VF15SRA1464106667“	„MW690MM“	2019	26/11/2019
3.	„RENAULT“	ჰეტჩბეკი/„Hatchback“	„SANDERO“	თეთრი	„VF15SRA1464106693“	„MW691MM“	2019	26/11/2019
4.	„RENAULT“	ჰეტჩბეკი/„Hatchback“	„SANDERO“	თეთრი	„VF15SRA1464106694“	„MW692MM“	2019	26/11/2019
5.	„RENAULT“	ჰეტჩბეკი/„Hatchback“	„SANDERO“	თეთრი	„VF15SRA1464106697“	„MW693MM“	2019	26/11/2019

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია